სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 დეკემბერი 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/114

,,ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 04 დეკემბრის N06-01/107 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, ბსუ-ს წესდების მე-13, 29-ე და 37-39-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის №06-01/10 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების“, ,,ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის N06-01/48 დადგენილების, ,,ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N06-01/56 დადგენილების, ,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 დეკემბრის N441 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ,,ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 04 დეკემბრის N06-01/107 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N14), **2025 წლის 06 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით** (გარდა 2025 წლის 07 იანვრის და შაბათ-კვირისა), 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.“;

ბ) დადგენილების მე-5-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს **2025 წლის 21 იანვარს, 14:00 სთ-ზე.**

6. ბსუ-ს რექტორის **არჩევნები ჩატარდეს 2025 წლის 21 იანვარს, 15:00 სთ-ზე.“**

გ) დადგენილების N2 დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, წინამდებარე დადგენილების დანართის შესაბამისად.

2. ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განახლებული განცხადება), საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, არაუგვიანეს 2024 წლის 27 დეკემბრისა გამოქვეყნდეს (რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე ვადით) ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (უნივერსიტეტის ფაკულტეტების, ინსტიტუტების და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე).

3. წინამდებარე დადგენილების და რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე კონკურსების ველში განთავსდეს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ.

4. დადგენილება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, უნივერისტეტის საარჩევნო კომისიას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს.

5. დადგენილება ძალაშია ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 04 დეკემბრის №06-01/107 დადგენილების **N2 დანართი**

(აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N06-01/114 დადგენილებით განახლებული რედაქცია)

განცხადება

ბსუ-ს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ

1. **2024 წლის 04 დეკემბერს** გამოცხადდეს არჩევნები საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) **რექტორის თანამდებობის 2025 წლის 22 იანვრიდან 4 წლის ვადით დასაკავებლად.**

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

3. ბსუ-ს **რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:**

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

ბ) 5 წლის სამუშაო გამოცდილება;

გ) სამოქმედო გეგმის წარმოდგენა.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N14), **2025 წლის 06 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით** (გარდა 2025 წლის 07 იანვრის და შაბათ-კვირისა), 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.

4. **კანდიდატმა დადგენილ ვადაში რეგისტრაციისათვის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინოს:**

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ფერადი ფოტო, ზომით ¾;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

ე) სამოქმედო გეგმა;

ვ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (დასაქმების ადგილიდან გაცემული ცნობა/დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან/და სხვა, კანონმდებლობითი დადგენილი წესით გაცემული ცნობა);

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

თ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ (მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყება 2025 წლის **21 იანვარს,** 14:00 სთ-ზე.

6. ბსუ-ს რექტორის არჩევნები ჩატარდება **2025 წლის 21 იანვარს** 15:00 სთ-ზე.